სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 04

2018 წ. "20" 03

ქ.თბილისი

,,ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის №02 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის №02 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის №02 გადაწყვეტილება ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

2. სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №1 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განიყოფელ ნაწილად.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
ზაზა რუხაძე